საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3268/01
02/04/2021

3268-01-2-202104021238

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
გაყიდვების მხარდაჭერის სამსახურის უფროსს
ბატონ **ირაკლი ჩიდრაშვილს**

ბატონო ირაკლი,

თქვენი წერილის (#6/11252 04.03.2021) პასუხად, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში მდებარე 15596 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 29.14.33.321) იჯარა/პრივატიზების საკითხს. გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფართობი საკადასტრო-აზომვითი ნახაზის საფუძველზე არ მდებარეობს დაცული ტერიტორიებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებში.

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით (წერილი #21/883 01.04.2021) აღნიშნული ნაკვეთის ტერიტორიაზე ფიქსირდება ტბორი, რომლის წყლის სარკის ზედაპირის ფართობი შეადგენს 217მ^2-ს. ნაკვეთის აღმოსავლეთით მდებარეობს ვარციხის წყალსაცავი, რომლის წყლის სარკის ზედაპირის ფართობი შეადგენს 1,108,026მ^2-ს. ნაკვეთზე ან მის ნაწილზე შესაძლოა ვრცელდება წყლის სახელმწიფო ფონდის მიწის და წყალდაცვითი ზოლის მოთხოვნები, რომელშიც „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 19, 20) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2) თანახმად, მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 და მე-8 მუხლების თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსატევები, აგრეთვე არხების და ტბორების წყლები და ჭაობები წარმოადგენენ საქართველოს წყლის სახელმწიფო ფონდს, ხოლო ამ წყლის ობიექტებით, ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით დაკავებული მიწები, აგრეთვე მიწები,

რომელებიც გამოყოფილია წყლის ობიექტის წყალდაცვით ზოლად, სანიტარიული დაცვის ზონად და ა.შ. წარმოადგენენ წყლის სახელმწიფო ფონდის მიწას.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სხვა საჭიროებას. წყლის სახელმწიფო ფონდის მიწით სარგებლობის წესი განისაზღვრება “წყლის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს მიწის კანონმდებლობით.

„წყლის შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 20. პ.3.) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (მუხლი 2. პ.6.) თანახმად: „იმ ტბებისა და წყალსაცავებისათვის, რომლებიც არ გამოიყენება სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისათვის, წყალდაცვითი ზოლის სიგანე განისაზღვრება: წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან 300 მეტრით, ხოლო სარეკრეაციო-გამაჯანსაღებელი ობიექტებისათვის, წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან არანაკლებ 30 მეტრით“.

წყალდაცვით ზოლში მოხვედრილ მიწის ნაკვეთზე დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული „წყლის შესახებ” საქართველოს კანონით (მუხლი 20. პ.4) და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #440 დადგენილებით დამტკიცებული ”წყალდაცვითი ზოლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული წყალდაცვითი ზოლის გავრცელების პირობები, დადგენილი აკრძალვები და სპეციალური მოთხოვნები.

პატივისცემით,

ოთარ შამუგია

მინისტრის მოადგილე